შინაური საქმეები.

ᲧᲝᲕᲔᲚ-ᲙᲕᲘᲠᲔᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

№ 15.

ᲤᲐᲡᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ

ᲪᲚᲘᲣᲠᲘ ᲤᲐᲡᲘ 4 ᲛᲐᲜ.

ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ.

ᲙᲕᲘᲠᲐ, 21 Ა�პᲠᲘᲚᲘ 1913 ᲬᲔᲚᲘ.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ: 1. ᲝᲠᲜᲐᲘᲠᲘ ᲣᲠᲬᲛᲣᲜᲝᲕᲐ—ᲗᲜ. ᲛᲬᲘᲠᲘ; 2. ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘ—Ა. Შ.; 3. ᲩᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲒᲛᲘᲠᲝᲑᲐ—ᲕᲐᲜᲐᲗᲨᲘ ᲜᲐᲛᲧᲝᲤᲘ; 4. ᲙᲕᲘᲠᲘᲓᲐᲜ-ᲙᲕᲘᲠᲐᲛᲓᲔ; 5. ᲒᲐᲖ. „ᲙᲝᲚᲮᲘᲓᲘᲡ“ ᲡᲐᲐᲚᲓᲒᲝᲛᲝ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘ—ᲮᲔᲚᲘ; 6. ᲒᲐᲛᲪᲔᲛᲘ—Დ. ᲩᲮᲘᲙᲕᲐᲫᲔ; 7. ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, Დ. ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ—ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲔᲚᲘ; 8. ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ.

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

„ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ“

ᲮᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲛᲘᲙᲘᲓᲔᲑᲐ (ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ ᲜᲝ 17). ᲓᲐ ᲛᲝᲗᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲜᲔᲚᲘ ᲮᲔᲛᲘᲡᲐ ᲓᲐᲖᲦᲣᲠᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ, Ქ. ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲨᲣᲠᲝᲗᲚᲔᲑᲘ—ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲨᲔᲛᲬᲔᲠᲚᲘᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲘᲡᲐᲛᲔ. ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲗᲕᲔᲨᲘ ᲠᲘᲗᲘ ᲤᲝᲠᲛᲘᲗ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

წ�ᲛᲝᲜᲐᲬᲔᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲔᲚᲘ	4 ᲛᲐᲜᲗᲘᲗ.	ᲬᲚᲘᲗ ᲠᲣᲑᲚᲘᲗ: 2 ᲛᲐᲜᲗᲘᲗ.
ᲗᲕᲔᲨᲘ ᲗᲕᲔᲨᲘ	2 ᲛᲐᲜᲗᲘᲗ.	1 ᲛᲐᲜᲗᲘᲗ.
ᲪᲐᲚᲙᲔ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ ᲔᲠᲗᲘ ᲨᲐᲣᲠᲘ.		

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲝᲬᲔᲠᲘᲗᲘᲐᲜᲘ. ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲐᲡᲔᲕᲔ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲓᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ: ᲗᲕᲘᲗᲝᲗᲐᲜ 2 Მ. ᲓᲐ 1 ᲘᲣᲜᲘᲡᲘ 2 Მ. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲗ ᲛᲝᲜᲐᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲑᲚᲘᲗ 7 ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲔᲚᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲠᲣᲑᲚᲘᲗ 2 ᲐᲑᲐᲖᲘ.

ᲐᲓᲠᲔᲡᲘ ᲛᲘᲬᲔᲠᲘᲡᲐ: „ᲨᲘᲜᲐᲣᲠᲘ ᲡᲐᲥᲛᲔᲔᲑᲘᲡ“ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐ.

ᲥᲐᲠᲘᲜᲘ ᲛᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲓᲘᲜᲘᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲮᲚᲘᲡᲐ ᲛᲝᲠᲓᲔᲑᲐᲫᲘᲡᲐ, ᲚᲘᲝᲜᲔᲚᲘᲡ, ᲜᲘᲜᲐ, ᲞᲘᲠᲘᲚ, ᲐᲜᲔᲢᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘᲡ ᲛᲝᲠᲓᲔᲑᲐᲫᲔᲑᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲓᲘᲓᲘ ᲛᲬᲣᲮᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲐᲪᲣᲪᲣᲚᲔᲑᲡ ᲜᲐᲪᲘᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲛᲘᲛᲦᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲛᲐᲨᲘ

ᲛᲓᲘᲕᲚᲘᲡ ᲘᲝᲙᲘᲡᲛᲔ ᲰᲔᲢᲠᲘᲡᲔᲡ ᲛᲝᲓᲔᲑᲐᲪᲘᲔᲡ

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘᲐ Ს. ᲙᲝᲚᲔᲨᲘ 24 ᲐᲞ. ᲩᲘᲚᲘᲡ, ᲓᲦᲔᲗᲐ ᲝᲠᲗᲮᲘᲡᲐᲛᲔ. ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲐ ᲓᲦᲔ 4 ᲡᲐᲐᲗᲘᲡ.

ორნაირი ურწმუნოება.

„ჰოი კეთილ ურწმუნოება თომასი, რომელმან მორწმუნეთა გულნი სარწმუნოებითა შეუძრველითა განამტკიცნა და შიშით ღაღადჰყო: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი, დიდება შენდა“ (საეკ. საგალობელი).

— ქრისტე აღსდგა! ჩვენ ყველას გვეჩვენა! ახარეს თომას აღტაცებულმა მოციქულებმა. თომას არა სჯეროდა.

—საკუთარი თვალით ვიხილეთ აღდგომილი მოძღვარი, — არწმუნებდენ ამხანაგები. —

—ვერ ვენდობი თქვენს თვალებს. ჩემი საკუთარი თვალებისაც მეშინია, რადგან მხედველობა ხშირად ატყუებს ადამიანს. „უკეთუ არა ვიხილო ხელთა მისთა სახე იგი სამსჭვალთა ზ დავსხნე თითნი ჩემნი ადგილსა მას სამსჭვალთასა და დავსდვა ხელი ჩემი გვერდსა მისსა, არა სადა მრწმენს,“ — ბეჯითად იდგა თომა თავისაზე. გავიდა ცოტა ხანი. მოციქულნი შეიყარნენ. თომაც მათთან იყო. „შევიდა იესო კართა ხშულთა და დასდგა შორის მათსა და და რქვა მათ: მშვიდობა თქვენთანა! მერმე ჰრქვა თომას! მოჰყვენ თითნი შენნი და იხილენ ხელნი ჩემნი და მოიღე ხელი შენი და დამსდევ გვერდსა ჩემსა და ნუ იყოფი ურწმუნო, არამედ გრწმენინ. მიუგო თომა და ჰრქვა: უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“ ღრმა აზრიანი და დიდ-მნიშვნელოვანია ეს პატარა სცენა, ხშირად ამბობენ: იესო ქრისტეს აღდგომა ნამდვილი კი არა, უბრალო მოჩვენება იყო. მოწაფეებს წინდაწინ ჩანერგული ქონდათ ის აზრი, რომ ქრისტე უსათუოდ აღსდგება. დაუმატეთ ამას ძლიერი, მოტყინარე სიყვარული მოციქულებისა ქრისტესადმი და თქვენთვის ადვილი გასაგები იქნება, რომ მოციქულებს არც კი შეეძლოთ წარმოედგინათ, რომ მათი საყვარელი მასწავლებელი საბოლოოდ ჩავიდა სფეოლავში, ვით უბრალო მომაკვდავი, -და ეი კიდევაც მგზნებარე სურვილმა ქრისტეს მარადისობისამ შექმნა მოწაფეთა ოცნებაში სახე, მოჩვენება აღდგომილი მკუფისა და ამ ნიადაგზე ქრისტეს მიმდევრებს მოედო რწმენა, რომ იესო ქრისტე მართლა აღსდგა საფლავით.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ რა პასუხს აძლევთ ურწმუნო თომას? ადამიანი, რომელსაც სარწმუნო ამხანაგების სიტყვები არა სჯერა, ადამიანი, რომელიც თხოულობს საკუთარი თვალით დაანახონ აღდგომილი ქრისტე, კიდევ მეტი, ადამიანი, რომელსაც საკუთარი თვალებისაც ეშინია და თხოულობს ხელით გასინჯონ ქრისტეს ხეულზე სახე სამსჭვალთა, რას იტყვით, ეს ადამიანი ავათმყოფ ოცნებითაა გატაცებული? აშლილი აქვს სულის ნორმალური განწყობილება? ამ ადამიანს მოეჩვენა ქრისტეს აღდგომა? ჭეშმარიტად კეთილი ურწმუნოება თომასი! ურწმუნოებით ურწმუნოებისა დამთურგუნველი თომა ამაყად სდგას თავის საყვარელ მოძღვრის საფლავთან მისი მკვდრეთით აღდგომის საუკუნო მოწმედ, და ამას იქით, ვისაც სურს იესო ქრისტეს ადგომაზე ლაპარაკი, იგი თომას უნდა დაეკითხოს პირველად. უიმისოდ მის მსჯელობას არც ფასი აქვს და არც უფლება.

ჩვენს საზოგადოებაში თქვენ ხშირად შეხვდებით ეგრეთ წოდებულ „ურწმუნო თომებს.“ დაგვანახვეთ თვალით; მოგვაკიდებიეთ ხელი, ამბობენ ისინი, და მაშინ ჩვენც ღაღადყოფთ თომასთან ერთად: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი!“

საფუძვლის ძიება, საბუთების მოთხოვნა საეალდებულო და საქები თვისებაა ადამიანის პიროვნებისა. უამისოდ ადამიანი არც კია ამ სახელის ღირსი, იქვი. ურწმუნოება, ძიებიდან გამომდინარე, სრულებით არ არის საშიში. კეთილშობილური, გულწრფელი იქვი ეძებს. მოქმედებს, ქმნის და ამისთვის საჭიროც არის. სანამ საფუძვლად ედება მხურვალე ლტოლვა ჭეშმარიტებისადმი. მაგრამ არის მეორე ნაირი იქვი, მას მოსდევს სხვა-გვარი ურწმუნოება. თქვენ გახსოვთ ფრანც მოორი შილლერისა? მოიგონეთ მისი დაეა პასტორ მოზერთან, როცა მან, რაღაც უბედურების წინაგრძნობით შეშფოთებულმა, პირველად, თავის სიცოცხლეში, ტკიცვია პასტორი.

ფრანცი (იქვი გულს მიღრღნის. მარტოდ): ბრბოს ხიბრძნე! ბრბოს სიმამაცე! ჯერ ხომ არა

ვის დაუმტკიცებია, რომ რაც წავიდა, ის არ გა-
მქრალა, ან რომ ყოვლის მხედველი თვალი მე-
ფობს ვარსკვლავთ ზემო. არა - ეს საოდავი
ხელია, სადაც სიმხდალეს სურს შეძვრეს.
ცალიერია, ყრუა, არარაობაა იქ, ვარსკვლავთ
ზევით. მაგრამ მართლა რომ იყოს იქ რამე? არა,
არა, იქ არაფერი არაა. მე მსურს, ჩემი ბრძა-
ნებაა, რომ იქ არაფერი იყოს. მაგრამ თუ
არის? (მოზერს) „არ არსებობს ღმერთი!“ ახ-
ლა მე ხუმრობის გარეშე გელაპარაკები და
ვიმეორებ: „არ არის ღმერთი!“ აბა გამამტყუნე
მთელი შენი იარაღით, რაც კი მოგეძევება.
ერთის შებერვით გაგიფანტავ მათ.

მოზერა: ყოვლის მხედველი ღმერთი,
რომელიც შენ გსურს მოსპო მის ქმნილებათა
შორის, არ საჭიროებს მტვრის პირით გამარ-
თლებას. მაგრამ თუ ასე მტკიცეა შენი რწმენა,
რა საჭირო იყო ჩემი მოწვევა? რათ მიხმე ამ
შუალამეზე?

ფრანცი: მისთვის რომ, მომეწყინა. მომ-
ბეზრდა შახმატის თამაში, და აი ამისთვის
გასართობად მომინდა ხუცესთან ლრენა. მე
წამიკითხავს, რომ მთელი ჩვენი არსება სისხლის
ბრუნვაა, მეტი არაფერი. უკანასკნელ წვეთთან
ერთად ცივდებიან აზრიც და სულიც. სული
ხორცის მონაწილეა და მაშასადამე მასთან
ერთად გაქარწყლდება. ეს ჩემი შვიდი ციხე
დარბაზი რომ დავანგრიო, აი ეს ვენერა, რომ
დავამსხვრიო, წყობილებაც და მშვენიერებაც
აღარ იქნებიან. თქვენს უკვდავ სულსაც ასე
დაემართება...

მოზერა: ეს თქვენი სასოწარკვეთილების
ფილოსოფიაა. მაგრამ თვით თქვენი შიშით
მკერდში მთრთოლვარე გული გამხილებს
თქვენ. „შენ მომაკვდავი ხარ!“, აი ეს სიტყვები
გაგიწყვეტთ ლობობის ქსელს თქვენი აზრთა წყო-
ბისას. მე გიწვევთ თქვენ — თუ სიკვდილის ჟამ-
საც ასე შეუდრეკელი დარჩებით, თუ თქვენმა
რწმენამ მაშინ არ გიღალატოსთ, გამარჯვება
თქვენი იქნება. მაგრამ თუ მკირეოდენმა
თრთოლვამ ერთი წუთით მაინც შეგიპყრათ,
მაშინ ვაი თქვენდა: თქვენ მოსტყუვდით! მე
ბევრი მინახავს თქვენისთანა. მთელი სიცოცხლე
მამაცად ეწინააღმდეგებოდენ ჭეშმარიტებას,
მაგრამ სიკვდილის ჟამს მოტყუება ქარწყლდე-
ბოდა. მე ვიდგომები თქვენ სასიკვდილო
სარეცელთან. მე მინდა კიდევაც შემოგხედოთ
თვალებში, როცა ექიმი აიღებს თქვენს გაცი-
ვებულ ხელს, შემოგხედავთ და მერე საში-
ნელის მხრების აწევით გეტყვით: „კაცობრი-
ული ღონე ფუჭია!“ გეშინოდეთ, ოხ, გეში-
ნოდეთ მაშინ, რომ არ გამოჩნდეთ ვით რი-
ჩარდი, ანუ ნერონი.

ფრანცი: არა, არა!

მოზერა: ეს „არა“ მოლაღადე „ჰო“-დ
გადიქცევა მაშინ. შინაგანი ტრიბუნა, რომე-
ლსაც ვერასოდეს ვერ მოისყიდით უარყოფითი
საბუთებით, უცებ გაიღვიძებს და მოგიწოდებს
თავის სამსჯავროში.

ფრანცი: ხუცური ბოდვაა! ხუცური
ბოდვა!

მოზერა: აჰა! თქვენ უკვე იგრძენით სი-
მძიმე სიმართლისა. მე კი ჯერ არც კი დამი-
წყია მტკიცება. დავიწყოთ!

ფრანცი: გაჩუმდი! ჯოჯოხეთში გაემგზა-
ვრე შენის დამტკიცებით! ჩვენი სული მოისპო-
ბა, გელაპარაკები — არ მსურს შენი დამტკი-
ცებათა გაგონება.... მე არ მინდა უკვდავი
ვიყო“. ფრანც-მოორის მაგალითებს ხშირად
იპოვნით ცხოვრებისა და ისტორიაში. რას
იტყვით? ფრანც-მოორნი თომას ადგილზე მია-
ძახებდენ: „უფალი ჩემი და ღმერთი ჩემი“?
მეეჭვება და აი რატომ. ჩაიხედეთ თომას გულ-
ში! კეთილშობილნი მისწრაფებანი ადამიანის
სულისა, მაღალი და სამარადისო მნიშვნელობა
ადამიანის პიროვნებისა, ღვთაებრივი აზრი
ცხოვრებისა, — აი რა ატოკებს, რა იპყრობს
მის გონებას. თომას მხოლოდ ის აწუხებს,
იმაზე ზრუნავს, რომ ჭეშმარიტება გამოცხად-
დეს, სიყვარულმა გაიმარჯვოს და რავდენათ
საყვარელია მისთვის ეს გრძნობა, ეს მისწრა-
ფება, ეგზომ ფრთხილად და სათუთად
ეჭიცევა იგი მას, ეგზომ გონიერი, დინჯი და
მოსაზრებულია მისი ყოველი ნაბიჯი.

სულ სხვაგვარია ფრანც-მოორთა სულის
განწყობილება. ცივად და გულგრილად ეკიდე-

ბიან იგინი თავის კეთილშობილურ სულიერ ზოთხოვნილებას. მიწიერ, ხორციელ, დროებითი სიამოვნებით განისაზღვრება მათთვის ცხოვრების აზრი. მათ არა სწამთ ჭეშმარიტება-სიყვარულის თვის შორისი ღირებულება, მათ არ აფიქრებს სამარადისო მიზანი ადამიანისა. ისინი სიამოვნების ლიმილით მოგახსენებენ, რომ ადამიანი მტვერია და მეტი არაფერი; მწვავე სიცილით შეყურებენ მათ, ვინც საზეო მისწრაფებით ცხოვრობს, ვისაც მარადისობისკენ აღუპყრია თვალები. ქრისტეს აღდგომას და ღმერთ-კაცობის გამარჯვების დღესასწაულს მათთვის აზრიც არა აქვს. იგინი თითქო სასწაულს თხოულობენ, საბუთებს ეძებენ და ამავე დროს ფარულ დაცინვით ამბობენ, ვით პილატე, გულის სიღრმეში: რა არის ჭეშმარიტება? განა ღირს მაზე დროს დაკარგვა?" აი ბოროტი ურწმუნოება! იგი ღრღნის ადამიანის გულს. აცოვებს მის კეთილ-მისწრაფებას. საშიშია ამ გვარ ურწმუნოებით შეპყროობილი ადამიანი. მისთვის ჭეშმარიტებაზე ლაპარაკი მასალაა ჭეშმარიტებისვე გასაკიცხავი. მათთვის თქვა ღვთაებრივმა მოძღვარმა: „ნათესავი ბოროტი და მემრუშე სასწაულსა ეძიებს. და აღესრულების მათ ზედა წინასწარმეტყველება იგი ისაიასი: სმენით გესმოდეს და არა გულისხმაყოთ, ხედვით ხედვიჴეთ და არა იხილოთ!"

ონოფრე მწირი.

საუბრები.

მერვე საღამო.

კაცს უთუოდ უნდა ჰქონდეს სარწმუნოება.

პეტრე: ჩვენ საზოგადოებაში ოდესღაც სცხოვრობდა ერთი მოქალაქე, რომელიც თავის თავს განათლებულად სთვლიდა. რადგანაც ამისთანა კაცებს ჩვეულებად აქვთ მალალი ფრაზებით ლაპარაკი და ტრაბახი განათლებით, ამიტომ მისი პირიდან ისეთი სიტყვების გაგონება შეიძლებოდა, რომ თავი უნდა გაგეკნია და გეთქვა: არა, ჭეშმარიტი ქრისტიანი ეგრე არა ლაპარაკობს. ერთხელ, ასე მგონია თითქო გუშინ იყოთ, ერთს ოფიციალურს კრებაზე მან სთქვა: სარწმუნოება უბრალო, სულელ ხალხისთვის სრულიად საჭიროა, რომ სახელმწიფოში იყოს მშვიდობა და წესიერება, მაგრამ განათლებულ კაცს შეუძლიან უსარწმუნოებითაც იყვეს; მისთვის სარწმუნოება საჭირო არ არის, რადგანაც იცის, როგორ უნდა მოიქცეს. ასე სთქვა მან, მაგრამ გავიდა შემდეგ ამისა ცოტა ხანი, და ის, ყველას გასაკვიფრებლად, ტანდარმებმა მ-იკითხეს. განათლებული კაცი თურმე მხილებულ იქმნა სხვა და სხვა „მაშინიკობაში", ეხლა დამწყვდეულია და მგონია ეხლა უფრო სერიოზულად გასაჯოს. საჭიროა თუ არა მისთვის, განათლებულისათვის სარწმუნოება.

თომა: რასაც ფიქრობდა სარწმუნოების შესახებ ეს განათლებული, ამას ჰქადაგობენ ეხლა, როგორც სასიხარულო ამბავს ყველასთვის განურჩევლად. ისინი ამბობენ: სარწმუნოება საჭირო არ არის და ამიტომ გაუქმებულ უნდა იქმნეს. დიდი ხანი არ არის, რაც მე „ფურცლებში" წავიკითხე შემდეგი აზრი: „ღვთის განდევნა კაცის ტეინიდან არის სულ უმაღლესი მიზანი სოციალდემოკრატიისა"

მღვდელი: მაგრამ, როცა ისინი მოქმედობენ უბრალო ხალხში, რომელიც სურთ მიიმხრონ, მაშინ უკან იხევენ. მაშინ ისინი ამბობენ: სარწმუნოება არის კერძო, პირადი საქმე," ე. ი. ვისაც სურს შეუძლიან მისდიოს მას; ისინი რომ პირდაპირ და გულახდილად ლაპარაკობდენ სარწმუნოების შესახებ, უბრალო ხალხში ბევრად ვერ გაიმარჯვებდენ; ეს მათ კარგად იციან და ამიტომ ვერა ჰბედავენ აშკარად იქადაგონ მათ შორის თვისი ულვთოობა. მაგრამ განა მართლა სარწმუნოება არის რაიმე მეტი, ურომლისოდაც ცხოვრება შეიძლება? შეიძლება, რომ კაცი იყოს უსარწმუნოებად? უპასუხებ: არა; კაცს აუცილებლად უნდა ჰქონდეს სარწმუნოება. მაგრამ, ვიდრე ამის დამტკიცებას შეუდგებოდე, მე მსურს გადავსწყვიტო სხვა საკითხი, რომელიც ამბობს:

1. რა არის ქონა სარწმუნოებისა? სარწმუნოების ქონა არის, გულში კეთილმსახურ გრძნობათა ზრდა, რადგანაც აქ ძალიან ბევრია დამოკიდებული გრძნობაზე. კეთილმსახური გრძნობები ჩვენს უფლებაში არ არიან, არა აქვს ფასი ღვთის წინაშე. ვისაც ჰგონია რომ სარწმუნოება აქვს, რადგანაც ამა თუ იმ სარწმუნოებრივ ვარჯიშობათა დროს იმსჭვალება სასიამოვნო გრძნობით, ის ძალიან შემცდარია. ეს არის მხოლოდ ცარიელი გრძნობიარეობა სასიამოვნო მოჩვენება, ოცნება.

აგრეთვე, შენ ჯერ კიდევ არა გაქვს სარწმუნოება, ღმერთიც რომ გრწამდეს და მონაწილეობას ღებულობდე გარეგან წესებში. მიტომ რომ სარწმუნოება არ მდგომარეობს მხოლოდ გარეგნობაში, არამედ აქვს საქმე პირველად ყოვლისა, ღმერთთან, ზეგრძნობით არსებასთან. ქონა სარწმუნოებისა არის ცნობა ღვთისა უმაღლეს მეუფედ, უფლად, და აღსარება მისი მორჩილებით და სიყვარულით. ქონა სარწმუნოებისა, მაშასადამე, არის ცნობა და დამოკიდებულება ღვთისაგან და, მსგავსად ამ ცნობისა, მოწესრიგება თვისის ცხოვრებისა. ქონა სარწმუნოებისა ნიშნავს: გრწამდეს ღმერთი, სასოებდე მაზედ, გიყვარდეს ყველაზე ძალიან და ეს ყოველივე გამოხატო ცხოვრებაშიაც მცნებათა აღსრულებით და დაწესებულ მადლიან ღონისძიებათა მოხმარებით. ერთი სიტყვით, ქონა სარწმუნოებისა არის შინაგანად და გარეგანად პატივის ცემა ღვთისა. აქედან საკმარისად ცხადია, რომ სარწმუნოება მდგომარეობს არა მარტო გარეგან კეთილმსახურ გრძნობებში, არამედ ის შეიცავს მთელს კაცს; მას უპირავს კაცის გონებაც, ნებაც და გულიც.

სარწმუნოება არის საქმე გონებისა იმდენად, რავდენადაც კაცი სცნობს ღმერთს და მის სიტყვას დაუმორჩილებს თვის გონებას ღვთივ განცხადებულს სიტყვას. ვისაც აქვს სარწმუნოება, მას არა თუ სწამს ღმერთი და მისი სიტყვა, არამედ სცნობს კიდეც, რა ღვთისაგან გამოდის ყოველივე კეთილი და ყოველი ნიჭი სრული და რომ ღმერთი ყველის ხელმძღვანელობს და განაგებს. ასე ჰფიქრობდა სარწმუნოების შესახებ ჯერ ისევ ძველი წარმართი ფილოსოფოსი პლატონი, რომელიც ასე ამბობს: პირველად ყოველისა მოქალაქენი ღრმად დარწმუნებულნი უნდა იყვნენ, რომ ღმერთნი არიან უფალნი და მეუფენი ყოვლისა, რაც კი არსებობს, და რომ ყოველივე, რაც აქ სრულდება ტ სწარმოებს, სწარმოებს მათი ნებით და გამგეობით და რომ კაცთა ნათესავი ყველაფრით მათზეა დამოკიდებული".

პეტრე: როგორ არცხვენს ეს წარმართი მრავალს ჩვენ თანამედროვეებს, რომლებსაც ეწოდებათ ქრისტიანები, მაგრამ რცხვენიანთ კი ისმინონ სიტყვა „ღმერთი", ან ამბობენ ხოლმე მხოლოდ: სვებედი, — ხვედრი, შემთხვევა, როცა საქმე ეხება ხოლმე კერძო კაცის ან მთელის ერების თავგადასავალს!

მღვდელი: მაგრამ სარწმუნოება არის საქმე არა მარტო გონებისა, არამედ უმეტესად ნებისაც, როცა კაცი თავს უმორჩილებს ღმერთს, ასრულებს მის წმიდა ნებას, აძლევს მას დიდებას და პატივს. მაშასადამე შენ გაქვს სარწმუნოება, თუნდაც რომ არაფერი არ იცოდე კეთილმსახურ, სანტიმენტალურ გრძნობათა შესახებ, თუ მხოლოდ ღმერთს უმორჩილებ შენს ნებას და სცდილობ ემსახურო მას. ეს დიდი ნუგეშია იმ კაცისთვის, რომელმაც არ იცის, რა არის ცრემლითი ლმობიერება და ტკბილი გრძნობები. მაგრამ ამით მე იმის თქმა კი არ მინდა, რომ სარწმუნოებაში გულს არა ჰქონდეს მონაწილეობა. პირიქით, სარწმუნოება გულის საქმეც არის, როცა კაცი სიხარულით მიენდობა ღმერთს და გულმხურვალედ იქმს თავის წმიდა საქმეს.

ჭეშმარიტი სარწმუნოება მოიცავს მთელს კაცს, მიტომ რომ კაცი მთელის თავისის არსებით, სულით და ხორცით ეკუთნის ღმერთს. ამიტომ სხეულმაცა უნდა მიიღოს მონაწილეობა სარწმუნოებაში, ის უნდა დაეხმაროს მის სარწმუნოებაში ვარჯიშობას. გამოცდილება გვასწავლის, რომ იმათ, რომლებიც მონაწილეობას არ იღებენ სარწმუნოების გარეგანს წესებში და არ ასრულებენ მათ, არ აქვთ ჭე-

შმარიტი სარწმუნოება. მორწმუნე კაცისთვის სულ ბუნებრივია და მისს მოთხოვნილებას შეადგენს გამოხატოს თვისი შინაგანი მდგომარეობა გარეგანს მოქმედებებში. „ვინც განზრახ არ იჩენს მოკრძალებას, ამბობს ერთი სულიერი კაცი, მას არა აქვს თბილი გული და მისი სარწმუნოება არ არის ჭეშმარიტი“.

პეტრე: რასა ბრძანებენ ამ წარმონათქვამზე ჩვენი გამოჩენილი კაცები, სახელმწიფო გვამნი და მოხელენი, რომლებიც არ გამოხატვენ ხოლმე თავისს სარწმუნოებას გარეგანი ნიშნებით? იმათ რომ ყური დაუგდო, მორწმუნეებად გეჩვენებიან; მაგრამ ეხლა მოყვანილი სიტყვებით, მათი სარწმუნოება არ არის მართალი და ფასიც არა აქვს რა.

თომა: ეხლანდელს დროში ძალიან ბევრჯერ გვიხდება ხოლმე კითხვა „ეთიკურ მისწრაფებათა“ შესახებ, რომელსაც ეძლევა დიდ კაცობა. რას ნიშნავს, რამე ახალი სარწმუნოება ხომ არ არის?

მღვდელი: პირიქით, ამ მისწრაფებით სურთ აჩვენონ, რომ უსარწმუნოებოთაც შეიძლება ზნეობრივი იყვე. მაშასადამე, ამით უნდათ, ყველა სარწმუნოებანი გამოაცხადონ არა საჭიროდ და ამიტომ გაუქმებულებად. მაგრამ უსარწმუნოებოდ არ არის არაფერი ჭეშმარიტი ზნეობა; უსარწმუნოებო კაცთაგან ისევე ცოტას უნდა მოელოდე ზნეობას, როგორც ძირ მოჭრილ ხეთაგან ნაყოფს. ზნეობითს ცხოვრებას თავისი საფუძველი აქვს სარწმუნოებაში და მისგან ღებულობს ძალასა და სიცოცხლეს. ღმერთი არის საუკუნო, ცხოველი, ზნეობრივი წესი, ამიტომ ულმრთოდ არ არის არაფერი ზნეობა.

მე გადავდივარ ეხლა მეორე ნაწილზე ჩემის საუბრისა სარწმუნოების შესახებ. მე ვამბობ:

რატომ უნდა ჰქონდეს კაცს სარწმუნოება უეჭველად? ჩემი შინაგანი დარწმუნებით, სარწმუნოება კაცისთვის საჭიროა:

ა) **მიტომ, რომ ეს სურს და ამას ითხოვს თვით ღმერთი.** ყოველივე არის ღვთისაგან და ღვთით და ულვთოდ არაფერი არ გაჩენილა, რაც კი არის. ყოველივე მისი საკუთრებაა. ხოლო თუ ყოველივე ქმნილება გამოუკლებელად ეკუთნის ღმერთს, მაშასადამე ყოველივე და კაციც მას უნდა ემსახურებოდეს. ამიტომ უსაბუთოდ არ ამბობენ, რომ ღმერთმა ყოველივე გააჩინა თავისთვის და თვისის დიდებისთვის. ამიტომ, აქვს თუ არა კაცს ნება გამოვიდეს ამ მწყობრიდან და სთქვას: მე არ მინდა, არ ვემსახურები ღმერთსა! მართალია კაცს აქვს თავისუფალი ნება და შეუძლია წინააღმეეგობაც გამოიჩინოს, მაგრამ დიდ ხანს გაგრძელდება ესა? სიკვდილის ცივი ხელი დაიჭერს მას და წარადგენს ღვთის სამსჯავროში იქნება უფრო ადრე, მინამ ის ფიქრობდეს.

პეტრე: ამ რიგად, ჩვენ ვალდებულნი ვართ ვემსახუროთ ღმერთს და დაუსჯელად არ შეგვიძლიან თავი მოვარიდოთ ამ მსახურებას.

მღვდელი: მაგრამ მსახურება ღვთისა ნიშნავს სხვას რასმე, ვიდრე სარწმუნოების ქონას. და ეს მსახურება ღვთისა არის მიზანი მთელის ჩვენის ცხოვრებისა, რადგანაც ჩვენ ვართ მისი სამკვიდრებელი, მისი საკუთრება, მუდამ მისს დამოკიდებულებაში ვიმყოფებით. ღმერთს აქვს წმიდა უფლება ჩვენის სულის თვითეულს აზრზე, ჩვენის მაჯის თვითეულს ცემაზე, ჩვენის ხელფეხის თვითეულს მოძრაობაზე. ერთი სიტყვით ყოველივე, რაც ჩვენ, გვაქვს ეკუთნის მას ჩვენის ცხოვრების დასაწყისიდან დასასრულამდე. ამიტომ ღმერთს უფლებაც აქვს მოითხოვოს ჩვენგან მუდმივი შეუწყვეტელი მსახურება, ე. ი. ჩვენ უნდა გვქონდეს სარწმუნოება მთელს ჩვენს სიცოცხლეში. ამ რიგად კაცს უნდა ჰქონდეს სარწმუნოება მიტომ, რომ ამას ითხოვს ღმერთი. მაგრამ ეს საჭიროა სხვა მიზეზითაც, სახელდობრ:

ბ) **მიტომ რომ ამას მოითხოვს თვით კაცის სარგებლობა.** კაცი შექმნილია ღვთისაგან და ღვთისათვის, ყველა ქმნილებათა შორის მხოლოდ მას ერთს აქვს ცნობა ღვთისა, რადგანაც ის დანიშნულია ღვთისათვის, ღმერთი არის მიზანი, რომლისკენაც კაცი იწონება და მიისწრაფის. როგორც ქვა, ზევით აგდებუ-

ლი, ისევ მიწაზე ეცემა, როგორც კაცის სხეულის წევრი, ამოვარდნილი ბუდიდან, ტკივილს გრძნობს იმ დრომდე, ვიდრე თავის ადგილზე არ ჩაჯდება, როგორც მაგნიტი ყოველთვის ჩრდილოეთისკენ მიიქცევა ხოლმე, ისევე კაცის სულიც, თუ ის სალია, მუდამ მიიწევს ღვთისაკენ. და მხოლოდ ღმერთში ვპოვებთ ჩვენ განსვენებას და კმაყოფილებას. ეს იცოდა დიდმა სულმა ნეტარის აგვისტინესამ და ამიტომ ჩვენდა სამოძღვრებლად მან დაგვიტოვა ასეთი სიტყვები: „ვერ არის კაცის გული მოსვენებით იმ დრომდე, ვიდრე არ ჰპოვებს განსვენებას შენში, უფალო!“.

ა. ბ.

(შემდეგი იქნება.).

ჭეშმარიტი გმირობა

ერთხელ, როდესაც სპარსეთის შახი პარიზში იმყოფებოდა სტუმრათ, ერთმა ვილაც გაიძვერამ მოინდომა ესარგებლნა ამ გარემოებით და გამდიდრებულიყო ეშმაკობით. მან მოიფიქრა, თითქო უნებლიეთ, შახის ეტლის ქვეშ მოყოლოდა, და იმედოვნებდა, რომ შახი იმას უხვად დაასაჩუქრებდა.

დიდ ხანს ცდა არ მოუნდა. შახის მოსვლის მეორე დღეს უმთავრეს ქუჩაზე უცებ გამოსჩნდა მდიდრად მორთული ეტლი, რომელსაც ექვსი თეთრი ცხენი მოხდენილად მოაქანებდა. მოსამსახურეები, ძვირფას ტანისამოსებში გამოწყობილები, ეტლის კოფოზე და უკანა სადგომზე აყვირებდნენ საკრავებს.

გაიძვერამ იფიქრა, ამ ეტლში უსათუოდ შახი იჯდომებოთ და ჩაუვარდა ცხენებს ფეხქვეშ. მაგრამ იმედი შწარედ გაუცრუვდა. თურმე შახი-კი არ ყოფილა, ეს ყოფილა ცარიელი ეტლი, ახალი საპნის ქარხნის განცხადებით. ქარხნის პატრონს ეტლი რაც-კი შეიძლებოდა, მდიდრულად მოერთო იმ მიზნით, რომ თავის ქარხნის განცხადებისთვის საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღება მიექცია.

ასეთი შეცდომა უბედური გაიძვერასი, საბწუხაროდ, ხშირად მოხდება ნასწავლებშიდაც, ისტორიკოსებშიდაც და მწერლებშიდაც, საზოგადოდ ხალხში, რომელიც აფასებს ამა, თუ იმ ისტორიულ მოქმედ პირს. ისინიც, პარიჟის გაიძვერას მზგავსად, მსჯელობენ ავრეთვე გმირის ეტლის ბრწყინვალების და რიხინის მიხედვით. დიდი ამბით, ხმაურობით გაირბინა ეტლმა, ხმამაღლა უკრავდნენ საყვირებს დაქირავებული მოსამსახურეები, ავარდა უკან მტვერის კორიანტელი, — სჩანს, დიდმა პირმა გაიარა. დიდი ადამიანის მოქმედებს ღირსება, მაშასადამე, ფასდება ეტლის რიხინის, ხმაურობის მიხედვით, და არა სიარულის განზრახვით და მიზნით, და არა განზრახული მიზნის განხორციელების ხასიათით.

აიღეთ ძველი დროის შესანიშნავი გმირი — მაკედონიის მეფე ალექსანდრე. აბა რა გააკეთა ასეთი რამ დიდი, დიდებული ამ შესანიშნავმა გმირმა? იმან, ოცდა ათი წლის კაცმა, დაიპყრო თითქმის მთელი ნახევარი ქვეყანა. რაში გამოიხატება აქ მისი განსაკუთრებული ნამსახურობა? იქნება მას თავს-ესხმოდნენ მტრები, და ის თავგანწირულებით ეომებოდა და სდევნიდა მათ? — არა, იმას ხელს არავინ ახლებდა; ის თითონ გადიოდა ზღვებს, გადადიოდა მთებს, რომ სხვების სამფლობელოში შეეარდნილიყო, ხალხებს დასცემოდა, სრულიად უცნობებს, რომლებსაც არასოდეს არსად არ გაუგონია მისი სახელი და მისი სამეფო. იქნება დაპყრობილ ქვეყნებს მან მისცა საუკეთესო კანონები, წეს-წყობილება, ააყვავა მათში მეცნიერება, ხელოვნება? არა. დაიმორჩილა-თუ არა მან დესპოტიური სპარსეთი, თითონ შეიქმნა დესპოტად, შემოიღო თავის სასახლეში დესპოტიური ზნე-ჩვეულებანი, მოითხოვდა თავისუფლების მოყვარულ ბერძენ-მაკედონიელთაგან მონურ პირფერობას. მისგან დაარსებულმა უდიდესმა სახელმწიფომ დიდ-ხანს ვერ იარსება. ჯერ-კიდეც არ გაციებულიყო მისი გვამი, რომ მისმა სარდლებმა გაიყვეს მისი სახელმწიფო ერთმანეთში, და დაიწყეს ერთმანეთთან დაუსრულებელი ომები.

მაშ რაღათ იღვწოდა ამნაირათ ალექსანდრე, რათ სჩადიოდა ასეთ ხმა-მაღალ სამხედრო

საქმეებს? იქნება ამას სჩადიოდა სამშობლოს საკეთილ-დღეოდ, თავის ქვეყნის გასამდიდრებლად და ასაყვავებლად? არა. თავისი ქვეყანა, მაკედონია, ამოდენა დაუსრულებელი ომებით მან აოხრა. მაკედონიის დიდება იმისთვის ძვირფასი არ იყო. ის იყო გამსჭვალული თავის საკუთარი დიდების სურვილით. როდესაც მისი მამა ფილიპე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, რომელიც ბერძენ ომობდა გამარჯვებით, ალექსანდრეს არ უხაროდა ეს გარემოება; პირ-იქით, დიდად-ნაწყენი შურის ცრემლებით სტიროდა და ამბობდა: „მამა მთელ ქვეყანას დაიპყრობს, და მე აღარაფერს დამიტოვებსო“.

ეს იყო კაცი, რომელიც სცხოვრებდა თავისი პირადი დიდებისათვის, რომ მისი სახელი მთელ ქვეყანაზე განთქმული ყოფილიყო. და მართლაც, მისმა ეტლმა გაირბინა ქვეყანაზე დიდის ამბით და რიხინით. მაგრამ რა იყო შიგნით ამ ეტლში, რომელიც გარედგან მოოქვრილი სჩანდა? რა კვალსა სტოვებდა იგი თავის შემდეგ?—ბევრი სოფელი და ქალაქი აოხრდა, მრავალი ხალხების ცხოვრების განვითარება დიდი-ხნობით შეჩერებულ იქმნა, მოკლულ და დასახიჩრებულ იქმნენ ასი ათასობით ადამიანები, რომლებსაც ერთი-ერთმანეთში არავითარი მტრობა არა ჰქონიათ. და ყოველივე ეს-კი ხდებოდა მხოლოდ ერთი კაცის დიდებისთვის. არა კეთილი დიდებაა ასეთი დიდება; გეროსტრატის დიდებაა. მის წინაშე ქედის მოხრა, მისი გმირად ჩათვლა-ეს იგივეა, რაც ჩავარდნა რიხინით მომფრინავ ეტლს ქვეშ...

აიღეთ კიდევ სხვა გმირი, ახალი დროის გმირი—ნაპოლეონი. მისი სახელი ჰქუხდა მთელ ქვეყანაზედ. მას ადიდებდენ ლიტერატურის გენიოსები; ისტორიკოსებმა შეადგინეს მასზედ მწერლობა, მთელი მთები ქალალდისა, მას ემორჩილებოდენ მთლად ხალხები; ადამიანები ათასობით მზათ იყვნენ სიხარულით დახოცილიყვნენ მისთვის.

ერთხელ როდესაც ნაპოლეონი ომის წინ ჯარს ათვალიერებდა, მოიხმო სარდალი და უთხრა: „გენერალო, მე ვამაყობ თქვენის პოლკით“. გენერალი აენთო სიხარულისაგან, და უთხრა,— „მე სრულის ბედნიერებისათვის ის და დამრჩენია, რომ თქვენ თვალწინ მოვკვდე“. მართლაც, მეორე დღეს, ომის დროს, იმან მოიხელია დრო, როდესაც ნაპოლეონი თავის მხლებლებით მოდიოდა, უგუნურის გაბედულობით მივარდა ფეხით მიმავალ ჯარს, და მაშინვე შუბებით განიგმირა.

ეს საბრალო კაცი ჩაუვარდა სიკვდილს ხელში არა კაცობრიობის კეთილ-დღეობისათვის, არა სამშობლოს ხსნისათვის; არამედ ახლოს მიმავალ ნაპოლეონის ღიმილისთვის. განა არა ჰგავს ეს სიკვდილს „საპნის“ ქარხნის ეტლის ქვეშ?

ბრწყინვალება ნაპოლეონის დიდებისა იყო მხოლოდ გარეგნული ბრწყინვალება,-რიხინით მიმფრინავ „საპნის“ ქარხნის ეტლისა. მასში არ იყო არაფერი ის, რაც ერის „ჭეშმარიტად დიდი“, „მეფურად-მშვენიერი“. როდესაც ის თავის მეომრებით შევიდა მცირე აზიაში, იმას დიდი ძალა მოუნდა იაფფის გამაგრებული ციხის ასაღებად. ბოლოს, როგორც იყო, ქალაქი აიღო; მაგრამ ოთხი ათასი მეომარი მუსულმან-ალბანელები და არნაუტები ჩაუსაფრდენ ქალაქის გამაგრებულ შენობებში, არ ნებდებოდენ და სროლა აუტეხეს. მაპოლეონის პირადმა ადიუტანტებმა სთხოვეს გულად ვაჟკაცებს, რომ ისინი მათ დანებებოდენ, და შეფიცეს ჯვარსა და სახარებაზე, რომ იმათ თავისუფლად გაუშვებდენ. თათრებმა დაუჯერეს ქრისტიანების ფიცს, და დაჰყარეს იარაღი. მაშინ ისინი მოიყვანეს ზღვისპირს, გარშემო შემოარტყეს ჯარები, და ყველანი—სამი ათასზე მეტი უიარაღო კაცი,—დახვრიტეს.

ფრანგების ჯარში გაჩნდა შავი ჭირი. სალდათები ასობით იწვნენ ჭირით შეპყრობილები; მათი სიარული შეუძლებელი იყო. მაშინ ნაპოლეონი მოუწოდებს ჯარის უმთავრეს ექიმს და ეუბნება მოსწამლოს შხამით ყველა ეს უბედურები, რომლებიც თითონ მან მოახეტა აქ, შორეული სამშობლოდან.

—იცით, ექიმო,—ამბობს ნაპოლეონი, მე ვფიქრობ, თქვენ კარგს იზამთ, თუ ყველ-

ლა ავადმყოფებს მისცემთ წამლის სახით სასიკვდილე საწამლავს.

— მე მისწავლია ავადმყოფობის მორჩენა, —უპასუხებს ექიმი,—ხოლო ჩემი მოძმეების დახოცვა არ არის ჩემი ხელობა.

მაინც ავადმყოფები, ვიღაცას შემწეობით, ყველანი დაიხოცნენ, და ნაპალეონმა, ამით შემსუბუქებულმა, გასწია წინ.

როდესაც შემდეგში, რუსეთის საზღვრებიდან წასვლისას, ნაპოლეონი იძულებული შეიქნა დაეტოვებია თავისი საგზაო ეტლი და ცხენით გაქცეულიყო, მაშინ მის მიერ დატოვებულ ეტლში იპოვნეს ყალბი რუსული ფულების მოსაჭრელი მანქანა.

განა ასეთი კაცის აღყვანა ისტორიის პიედესტალზე, გმირად დასახვა მისი—არ ნიშნავს კაცობრიობის შეურაცყოფას, ჭეშმარიტი გმირობის არ ცოდნას, არ ცოდნას კაცის სულის ნამდვილი სიდიადისას? განა მის წინაშე თავის მოხრა არ ნიშნავს შეცდომით, საბრალო პარიელივით „საპნის“ ბრწყინვალე ეტლ ქვეშ ჩავარდნას?

ჭეშმარიტად დიდი არის მხოლოდ ის, ვინც შეჰქმნა რაიმე დიდი. ნაპოლეონს ამისთანა არა შეუქმნია-რა. იმისი სურვილით ხალხები ელეტდენ ერთი მეორეს და არ იცოდნენ რათ და რისთვის. გაჩაღებული იყო საშინელი ომები. ჯოჯოხეთური მთა დახოცილი ადამიანების გვამებისა თანდათან იზრდებოდა, და მის თავზე ცივი ღიმილით იდგა პატარა მსუქანი კაცი, სახელად ნაპოლეონი, და დამშვიდებული ხელის ქნევით ანიშნებდა: „კიდევ და კიდევ“! მთელი მისი ცხოვრება წარმოადგენს უმგვანო მაგალითს მოყვასთა ბრიყვულად ფეხით გაქელვისას იმ მიზნით, რომ იმათ გვამებზე, როგორც კიბეებზე, მაღლა-მაღლა ასულიყო. — ეს არ არის ჭეშმატიტი სიდიადე;—ეს არის რიხინი და ბჭყვრიალი „საპნის“ ეტლისა, რომელიც მირბოდა საბრალო ადამიანების გვამებზე. არა, არა ალექსანდრე მაკედონელები, არა ნაპოლეონები არიან ჭეშმარიტი გმირები კაცობრიობისა.

არ შეიძლება ჩითვალონ ჭეშმარიტ გმირებად აგრეთვე ისინიც, რომლებიც „გამხნევების წუთებში“ სჩადიან თავგანწირულების საქმეს, თუმცა-კი ასეთ ადამიანებს გმირობის გული აქვთ.

შვეიცარიაში სახალხო გმირის სახელი აქვს გავარდნილი ვინმე ვინკელრიდს. ამ ხუთასი წლის წინეთ შვეიცარიელები ებრძოდნენ ავსტრიელებს სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის. ზემპახთან მოხდა გადამწყვეტი ბრძოლა. ავსტრიელი რაინდები, რკინაში ჩასხმულები, დიდი-ვეებერთელა შუბებით, როგორც შესაზარი ზღარბები ამდგარი ნემსებით, მიდიოდენ ცულებით შეიარაღებულ შვეიცარიელ გლეხებზე. შვეიცარიელებს არ შეეძლოთ დაეჭირათ არც ერთი ავსტრიელი. მაშინ ვინკელრიდმა, წაიყვანა რამდენიმე გულადი ამხანაგი ის მივარდა რაინდების რკინის ჯაგარს, ჩაბღუჯა ერთი იღლია შუბებისა, და კიდეც განგმირულ იქმნა მოწინააღმდეგებიდგან. ის დაეცა მკვდარი, მაგრამ მისი ამხანაგები გაგულიანებულები შესცვივვდენ ავსტრიელების შუა გულში, და ძალზე დაამარცხეს ისინი. შვეიცარია განთავისუფლდა. ვინკელრიდის სიკვდილმა მიანიჭა მათ თავისუფლება, და მადლიერი სამშობლო მოწიწებით იხსენიებს გმირის ვინკელრიდის სახელს.

პარიზში მდინარე სენაზე სხვა ბევრ ხიდეებთა შორის არის კიდევ ერთი ხიდი არკოლისა, რომელსაც ეს სახელი დაერქვა პატივსაცემად ჭაბუკის არკოლისა. პარიზის ქუჩებზე იყო საშინელი ცემა-ტყეპა და ელეტა. საჭირო იყო გასვლა ხიდზე, რომელსაც საშინლად უშენდენ თოფებს იქითა ნაპირიდან. ხიდზე გამსვლელები გაჩერდენ შეშინებულები. მაშინ ხალხიდან გამოდის ერთი ჭაბუკი და ყვირილით: „წინ! ჩემი სახელი არკოლია“, —გარბის ხიდზე. ის მაშინვე ტყვიებით განგმირული უსულოთ ეცემა ძირს, მაგრამ მისმა მაგალითმა გაამხნევა სხვები. ყველანი მიჰყვნენ მას უკან, აჯობეს მოწინააღმდეგეებს და საქმე მოიგეს.

ვინკელრიდსაც, არკოლსაც, და ათას იმათ-გვარ თავ-განწირულ ადამიანებსაც, უეჭველია, აქვთ გმირული გული, მაგრამ იმათ

ბევრსა შველის მოწყობილება. ისინი მოქმედებენ ათასი ადამიანების თვალ-წინ, იმათ ამხნევებს ხალხის ქება, იმათ ელანდება დიდება შთამომავლობაში. ყოველივე ეს იმათ ამხნევებს აძლევს ძალას, აბედვინებს გმირობას. სულ სხვა საქმეა მარტოდ მარტო მოქმედება უქება-დიდებოდ, უმწეოდ, უნუგეშოდ, და მოქმედება გმირულად არა ერთი საათი, არა ერთი-ორი წამი,—არამედ მთელ სიცოცხლეში, გრძელი წლები, დღითი-დღე, სადაგ, უბრალო მოწყობილებაში. აქ არის საჭირო დიდი, გამოულეველი სამზადისი გმირობისა. უცებ გაელვება, ერთ წამს განათება ცის კიდიდან კიდემდე შეუძლიან ღრუბელსაც, ელექტრონის ძალის მქონებელს, შეიძლება ისიც მხოლოდ ერთხელ და უკანასკნელად. გარნა რომ მუდამ ანათებდეს, ანათებდეს განუწყვეტლად და ერთნაირის ძლიერებით, საჭიროა მზედ ყოფნა. და ჩვენ ღრუბლებს იქით ხშირათ მთელი დღეების და კვირეების განმავლობაში ვერ ვხედავთ თითონ მზეს, მაგრამ სითბო და სინათლე, რომელნიც აცხოველებენ ყოველივეს, მისგან გამოდიან.

მე მაგონდება, რომ რამდენიმე წლის წინეთ, ხალხის შიმშილობის ღროს, შევხვდი მიყრუებულ ადგილას ერთ სოფლის ექიმს. ის დილის შვიდ საათზე გამოდიოდა გარეთ და ბრუნდებოდა სახლში ღამის თერთმეტ საათზე. და ასე ყოველ დღე რამდენიმე ხნის განმავლობაში. გარშემო სოფლებში ათასობით იწვნენ გადამდები სენით ავადმყოფები, და ის ერთი მუშაობდა მათში.

— როგორ იტანთ ასეთ შრომას, ექიმო? —ვკითხე მე. —ეს ხომ კატორგაა.

— რა ვუყო მაშ? საჭიროა აქ მუშაობა, უბრალოდ მიპასუხა ამ მოღვაწემ.

მაგონდება კიდევ სოფლის მასწავლებელი —ახალგაზდა ქალი. იმასთან არიან მოხუცებული დიდედა, ავადმყოფი დედა, „ორი პატარა და. ჯამაგირი ოცი თუმანი აქვს წელიწადში. მასწავლებელი მიუხედავად ამისა შრომობს მხნედ, სკოლი ჰყავს.

— რითი სცხოვრობთ აქ?— ეკითხებიან ნაცნობები.

— ჩვენ რა გვიშავს! ჩვენ ბატონებივით ვართ,—უპასუხებს მასწავლებელი.—თქვენ შეხედეთ ზოგიერთ ადამიანს. თქვენ ნამდვილად გაჭკვირდებით, რითი სცხოვრობენ ისინი.

აი ესენი არიან ჭეშმარიტი გმირები, გმირები სიკეთისა, მუშაკნი საუკუნო საქმისა, ღვთის სასუფევლის დამყარებისა ქვეყანაზე. ასეთი ადამიანები გადიან თავიანთ ცხოვრების გზას შეუმჩნეველად; მაგრამ იმათ, როგორც მზის სხივებს, ყველგან შეაქვთ სინათლე და სითბო. ამ სხივებს ჩვენ ხშირად ვერ ვამჩნევთ, მაგრამ ცხოვრებას კი აჩნევია მათი ცხოველმყოფელი ძალა.

ასეთ გმირობის ვითარებაში, სიყვარულის გმირობის მუდმივ სამსახურში უნდა აღიზარდოს ახალგაზდა თაობა. ამ გმირობისადმი უნდა ვისწრაფოდეთ ჩვენც. ჭეშმარიტი გმირობა დიდ ხმაურობაში კი არ არის და გარეგან ბრწყინვალებაში,—არამედ სიყვარულისა და სიმართლის მუდმივ კეთილ სინდისიერ სამსახურშია, რანაირი გარემოება და მოწყობილებაც უნდა იყვეს, ხალხთან იქნება, თუ უხალხოდ, ქება მოგველის, თუ დაცინვა, გამარჯვება თუ დაბრკოლება...

ვანათში ნამყოფი.

კვირიდან-კვირამდე.

— —

როგორც ხმები დადის უწ. სინოდის ობერ პროკურორი საბლერი ტოვებს თავ.ს პოსტს დაახლოვებით 6 მაისს. მისთან ერთად გადის სამსახურიდან მისი ამხანაგი დამანსკი, რომლის ჯანმრთელობა ამ უკანასკნელ ხანებში შელახულია. ობერ პროკურორის პოსტს დაიკავებს გაზეთების ცნობით, მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ტიხომიროვი.

(P. Y.).

— —

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ ალდგომის კვირაში მოხდებოდა მიტროპოლიტ ვლადიმერის პატრიარხათ გამოცხადება.

როგორც ვიცით ყოველწლობით ჩვენში ჩამოდიან ურმიაში და კურდისტანში მცხოვრები სირიელები, რომლებსაც სამშობლოში ეზარებათ მუშაობა და აქ ატყუებენ ხალხს, ვითომც მუსულმანები მათ ავიწროებენ, როგორც ქრისტიანებს. აგროვებენ ბევრ ფულს და იდებენ ჯიბეში. უწ. სინოდმა გაუგზავნა ეპისკოპოზებს განკარგულება, რათა მათ თვალყური ადევნონ ასეთების გაჩენას ეპარქიებში და აცნობონ მთავრობას, რომ დაამკვიდრონ ისინი სამშობლოში.

პეტერბურგის აკადემიის რექტორმა ეფ. გიორგიმ ნება დართო გაემართათ ჩვეულებრივი საღამო ღარიბ სტუდენტთა სასარგებლოთ. მიტროპოლიტმა ვლადიმერმა საყვედური გამოუცხადა რექტორს ამის თაობაზე. განსვენებული მიტროპოლიტი ანტონი თანაგრძნობით ეკიდებოდა ასეთ საღამოებს და შეწირულებასაც იღებდა თავის მხრივ. მიტროპოლიტმა ვლადიმერმა მაშინ დართო საღამოს ნება, როდესაც ეფის. გიორგიმ უთხრა, რომ ყველა ბილეთები დაყიდულია და საღამოს გადადება აწი შეუძლებელიაო.

გაზეთების ცნობით უწ. სინოდმა მიანდო ორლოვის ეპარქიალურ მთავრობას, წარუდგინოს ახსნა მისი, თუ რა მიზეზის გამო მოიკლა თავი ორლოვის სემინარიის მეექვსე კლასის მოწაფემ, რომელიც 3 აპრილს ღამით მატარებელს ჩაუვარდა ბობლებში. ამას აქცევენ განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან ამ უკანასკნელ წელს ეს მეოთხე შემთხვევაა თვითმკვლელობისა.

ქალაქ ოსტროეში მორფინით მოიწამლა თავი მლვდელმა პროობრაჟენსკიმ, რომელსაც ლოთობისა და მეძაობის გამო აუკრძალეს მლვდელ მსახურება და მედავითნის თანამდებობაზე გადიყვანეს...

ჩვენმა დიდებულმა მგოსანმა აკაკიმ მოათავსა გაზ. თემში მოკლე, მაგრამ ღრმა შინაარსიანი წერილი შოთას ძეგლის დადგმის შესახებ. აი თვით წერილიც:

8 საუკუნეა მას შემდეგ, რაც რუსთველი მოკვდა. მას აქეთ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ვინ იცის რამდენი მოდგმა ქართველებისა გადავიდა? ვინ მოსთვლის, რამდენი მეფეები მიიცვალენ და მათი სახსენებელიც არსად არის და რუსთველმა, ამდენი ხნის განმავლობაში გულში დამარხულმა, ამოჰყო თავი და აღსდგა მკვდრეთით! აღიძრა საზოგადო სურვილი რომ, შეადგინონ „რუსთველის საზოგადოება" და თვალ-საჩინო ძეგლი აუგონ მგოსანს. საკვირველია, რომ ეროვნული თანაგრძნობა თავის ნებით ძალ-ღაუტანელად, აღიძრა ყოველ ქართველში. მივულოცავ დღევანდელ ქართველობას—ეს დიადი სასახელო საქმე მას ხვდა წილად!.. უკვდავ მგოსნის შესწავლა და ძეგლის დადგმა თვით ერის უკვდავებაა და მარადისობა.

აკაკი.

განსვენებულ არჩილ ჯორჯაძის მიერ დატოვებული წერილები და ხელნაწერები ინახება ამ ჟამად თბილისში წერაკითხვის საზოგადოებაში. დანატოვარს შეადგენს: 1) **კონვერტი ლაქა დაკრული**, რომელზედაც არჩილის ხელით წაწერილია შემდეგი: „ამ ქაღალდების გახსნის უფლება აქვს მხოლოდ კიტა აბაშიძეს ჩემი სიკვდილის 5 წლის შემდეგ; ქაღალდები უნდა ინახებოდეს „სახალხო გაზეთის" ან მის მიმდევარ გაზეთის რედაქციაში, 2) **ტყავის პორტფელი**, რომელშიაც ინახება მიწერ-მოწერა; 3) **ქაღალდის პორტფელი**, რომელიც შეიცავს არჩილის თხზულების **მეხუთე** ტომისათვის დამზადებულ მასალას; 4) **ქაღალდის პორტფელი**, რომელშიაც აწყვია მისი ზოგიერთი ხელ-ნაწერი.

წერა-კითხვის საზოგადოებას იმიტომ გარდაეცა ყველა ეს, რომ საკვდილის წინა დღეებში თვითონ განსვენებულმა გამოსთქვა ეს სურვილი და შესცვალა წინანდელი.

აკაკი პარასკევს, 12 აპრილს, გაემგზავრა საჩხერეს. ამ ჟამად ჩვენი მგოსანი სწერს ერთს ნაწარმოებს, რომელსაც სათაურად ექნება „**სიზმარი**" ამ მის ახალ თხზულებაში დახატული იქნება შოთა რუსთველის ცხოვრე-

ბა იერუსალიმში და აღსნილი იქნება, თუ როგორ შეჰქმნა ჩვენმა მაცისკროვნებელმა გენიოსმა თავის დიდებული ნაწარმოები. (თემი)

ამ დღეებში მთავრობას წარედგინა წესდება ახალი საზოგადოებისა, რომელსაც სახელად აქვს „ქართველ პოეტის შოთა რუსთველის სახელის საზოგადოება". მიზნად დასახული აქვს: 1) შესწავლა შოთას ცხოვრებისა და მისი ნაწარმოებისა; 2) ხელის შეწყობა ქართულ ლიტერატურის და ხელოვნების შესწავლისა და განვითარების საქმეში; 3) შეკრება და შესწავლა ქართულ ზეპირ-სიტყვაობისა. საზოგადოების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე ძეგლის აგება როგორც შ. რუსთველისათვის, ისე სხვა გამოჩენილ ქართველ მწერლებისა და ხელოვანთათვის. საზოგადოების საქმეებს განაგებს საბჭო. თვით საზოგადოებას შეადგენენ: 1) წევრნი—დამფუძნებელნი, 2) წევრნი საპატიონი, 3) წევრნი ნამდვილნი, 4) წევრნი—დამხმარენი და 5) წევრნი კორესპონდენტნი.

კიევში დაატყვევეს იოანიტების ორი მეთაურთაგანი—კარგაჩევის ქალი და გოლუბკოვი. კარგაჩევის ქალი უწოდებდა თავისი თავს კრონშტადის ღვთის მშობელს, გოლუბკოვი კი—იოანე ღვთისმეტყველს. მათ უპოვეს საბუთები, რომლებიც აშკარას ყოფენ, რომ მათ გაუცარცვავთ იოანიტი ვარლამოვი პავლოგრადის მაზრის მცხოვრები. მცარცველებს საშინლად უწვალებიათ და წაურთმევიათ 42,000 მ. და აგრეთვე იძულებულ უყვიათ მოეწერა ხელი რამოდენიმე დიდ თანხიან პირობის ქაღალდებზე. (зак.)

გაზ. „კოლხიდის" საღვთისმეტყველო წერილები.

გაზ. „კოლხიდის" №32 საღვთისმეტყველო წერილებითაა გადაჭედილებული. მთელი პირველი გვერდი ამ წერილებს უკავია, თუ არ ვიანგარიშებთ ჯაჯუ ჯორჯიკიას უცნაურ და არ ვიცით რა აზრით დაწერილ „ადრიანოპოლის დაცემას" (?!), ცოტა რამ მეორე და მესამე გვერდზედაც არის.

პირველი შეხედვით მორწმუნე კაცის გული რაღაც სიამოვნებას იგრძნობს, გეგონებათ ჩვენი ინტელიგენცია მორჯულებულა, მოქცეულა, მამა პაპათა სარწმუნოებას ბოლოს არის უფეთქნია მათ გულში და საესებისიგან გული სა ენანი მეტყველებენო. მაგრამ წინასწარია სიხარული: შეუდგებით თუ არა წერილების კითხვას, ურწმუნოების ისეთი ცივი ქარი დაგბერავსთ, რომ გაზეთი უნებლიეთ ხელიდგან გივარდებათ და გაკვირვებული ეკითხებით ავტორებს: ბატონებო! რას ირჯებით, ვინ გეძალებათ საღვთისმეტყველო წერილების წერას, დაჩუმდით და, თუ კარგია, თქვენ გულში შეინახეთ თქვენი ურწმუნოების ჯოჯოხეთი, რათ გინდათ, რომ სხვეს გაუზიაროთ თქვენი ნეტარება?

პირველი წერილი „აღდგომა" „ისარს" ეკუთვნის. „აღსდგა ქრისტე მკვდრეთით"!—რიხიანათ იწყებს ისარი, „დათრგუნა სიკვდილი და გვიანდერძა სიცოცხლე; (ხოლო) სიცოცხლე არის მორიგობითი ცვლა მოქმედებისა და მოსვენებისა".

მეტი არაფერი? განა ლირს ამისთვის სიცოცხლე? ან რათ დასჭირდა ასეთ სიცოცხლეს სიკვდილი და აღდგომა ქრისტესი? რა გაუკეთა ქრისტემ თავის ჯვარცმით ამ სიცოცხლის მიზანს, ამ „მოსვენების და მოქმედებს მორიგობით ცვლას"? სხვა რომ არა იყოს რა, ქრისტე მოსვენებული არავის უნახავს, არც არაფერი უთქვამს მოსვენებაზე. მოყვასთა სიყვარულისათვის შრომა, ლოცვა და ღმერთთან განუშორებელი, განუწყვეტელი, მუდმივი კავშირი და ერთობა—აი ქრისტეს უმთავრესი სწავლა, მისი ანდერძი, მისი უკანასკნელი სიტყვა.

— უარყავით ყველაფერი, რაც გვიახლოვებს სიკვდილს! აღიარეთ ფხიზელი ცხოვრება, სიცოცხლე! აღსდეგით მკვდრეთით!—აი მთელი ფილოსოფია ქრისტეს მკვდრეთით აღდგომისა ბ. „ისრის" აზრით.

მაგრამ მაინც რომ არაფერ ი გაშე-

ლის, მაინც რომ ვკვდებით, რაც უნდა ფხიზლათ ვიცხოვროთ? რას გვეტყვით ამაზე ბ. „ისარო“? გეტყობათ „ფხიზელ“ ცხოვრებას აღარ ებ. „ისარო“, მაგრამ არ მოსტყუვდეთ და არ წარმოიდგინოთ რომ უკვდავი ხართ. მოვა დრო, უკანასკნელი დრო თქვენი ქვეყნად ცხოვრებისა და უნუგეშოთ დაიმსხვრევა თქვენი „ფხიზელი ცხოვრების“ ფილოსოფია.....

მეორე წერილი—„გაზაფხულის ჰანგები“ აღდგომის გამოა დაწერილი, როგორც ამას ვკითხულობთ სათაურს ქვემოთ, ფრჩხილებში და ეკუთვნის პატივცემულ და ყველასგან საყვარელ ჩვენი ეროვნების მოტრფიალ-მოამაგეს ბ. სილოვანს. ჰანგები, როგორც ჰანგები კარგია და კარგი, მაგრამ მას აღდგომის სუნიც არ უდის, ტყე. ველი, მინდორი ყვავილობს, ხარობს, მაგრამ „დამაშვრალთა და ტვირთ მძიმეთათვის“ ჯერ არ გათენებულა, მათ თვალებში ჯერ არ გამომკრთალა „სიხარულის სხივები“, „ძენი კაცთანი კაეშნის ძენი ისევ დაღვრემილნი არიან„. „მთელი ბუნება იღვიძებს, იშვებს და იხარებს, მაგრამ ჩაგრული ადამიანი ჯერ არ აღმდგარა, ჯერ არ გაუღიმებია უბედურ, დაობლებულ გულს“—მოსთქვამს ბ. სილავანი.

ვერასოდესაც ვერ აღდგება, ვერასოდესაც ვერ გაიღვიძებს, ვუპასუხებთ ჩვენ, სანამ ჭეშმარიტი „აღდგომის“ სხივი არ შეანათებს ჩაგრულთა საკანში, სანამ ქრისტეს ღვთაებრივი სიყვარული არ გაათფობს დაობლებულ გულს. „ამაო ამაოთა და ყოველივე ამაო, სთქვა ბრძენმა“ ვერაფერი ნივთიერი ვერ გააღღებს ადამიანის გულს ამ ქვეყნად და, მაშასადამე, ვერასოდეს ვერ გაიღიმებს ადამიანის გული. მხოლოდ ცხოველი კავშირი ქრისტესთან მოგვცემს ლხენას გულისას და გაგვხდის ჭეშმარიტ ნაყოფიერ გმირად მოყვასთა სასარგებლოდ და ჭირსაც ლხენად მიგვაჩნევინებს. დასამტკიცებლად გადაიკითხეთ ზნეობის გმირების ისტორია.....

ქრისტეს სახელის ხსენებას ძალიან ერიდება ბ. სილოვანი თავის „ჰანგებში“, თუმცა მისი ღვთაებრივი სიტყვებით, თავისებურათ, შეკრეფილათ კი სარგებლობს, მგონია უფრო „ჰანგების“ შესალამაზებლათ. საზოგადოთ ბ. სილოვანს ჩვეულებათ აქვს, არაფერი წამოსცდეს ღმერთზე და სარწმუნოებაზე. ,,იმერეთის,''—თუ არ ვსცდები,—ერთ-ერთ ნომერში, მაგ., სილოვანი სწერდა ძველმა ქართველობამ დაიცვა ეროვნება, ენა და ზნეობაო. აქ ზნეობა ნაძალადევი ნახმარია, როგორც მკითხველი შეატყობდა. ჭეშმარიტებასთან უფრო ახლო იქნებოდა ეხმარა სიტყვა ,,სარწმუნოება'', მაგრამ არ ულალატა თავის ჩვეულებას, ძველი ქართველივით დაიცვა თავისი ,,ზნე''. ამის შემდეგ რაღა აზრი აქვს და რისღა მაქნისია ფრჩხილებში ჩასმული ,,აღდგომის გამო''?

მეოთხე საღდგომო წერილი სათვალავით ეკუთვნის ,,იმერეთ-კოლხიდის“ მესაჭეს, მის თანამშრომელთა მთავარ-სარდალს, ახალმოდის მგოსანთა ობერ-პოეტს, უარის მყოფელ მეცნიერთა სუპერფილოსოფოსს ბ. გუცას, რომლის წერილის სათაურია ,,პირველი ამბორი''. ბატონი გუცას სახელის ხსენება და მისი მაღალი აზრების გამომზეურება ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ბევრჯერ მოვინდომეთ, მაგრამ რაღაც იდუმალი ხმა ნებას არ გვაძლევდა, მუდამ ერთ და იმავე სიტყვებს ჩაგვჩიჩინებდა ,,აცადენ მკვდარნი დაფლვად თვისთა მკვდართა“,—სიტყვებს, რომლებიც ეკუთვნის მისგან ,,ათვალწუნებულ'' მარიამ მაგდალინელას საყვარელ იესოს. ბ. გუცას ფსევდონიმი დაფარული არ არის და მიტომ ნებას ვაძლევ ჩემ თავს ვაცნობო მკითხველ საზოგადოებას მისი საღვთიმეტყველო ბარგის ვითარება. მან დაამთავრა საჩხერის ორკლასიან სამრევლო შკოლის საღვთისმეტყველო კურსი, საიდგანაც, როგორც სჩანს, შეიძინა ასეთი მაღალი აზრი იესო ქრისტეს პიროვნებაზე. ამიტომ იესო ქრისტეს პიროვნების ქირდვაში თვით რენანსაც გადააჭარბა ბ. გუცამ და თვით რენანისგან და მთელი ქვეყნიერებისაგან აღიარებული ზნეობის იდეალი იესო ფეხქვეშ გათელა და მარიამ მაგდალინელის ხორციელ საყვარელ მიჯნურად გახადა.

— ,,ქრისტე აღსდგა! ახარა მოციქულმა პეტრემ მარიამს..

— ნუ თუ მართლა? თავდავიწყებით წამოიძახა მაგდალინელმა.

— დიახ აღსდგა და გეამბორება შენ, უმშვენიერესო ქალთაგან!

მკვდრეთით აღმდგარმა ჭეშმარიტებამ პირველი ამბორი სიყვარულს უძღვნა.''

როგორ მოგწონსთ, ბატონებო, ასეთი ტირადა ბ. საჩხერელი ღვთისმეტყველისა? და როგორ მოგწონსთ ის გაზეთი, რომლის ფურცლებზედაც ასე უსინდისოთ იბღალება მთელი კაცობრიობის წმიდათა წმიდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გუცასთანა კუდაბზიკა კაკუნებს,—იბღალება მაშინ, როცა მთელი ქრისტიანობა სადღესასწაულო იუბილეს უხდის სიკვდილითა სიკვდილის დამთრგუნველს, კაცობრიობის განმაახლებელს, მკვდრეთით აღმდგენელს, მკვდრეთით აღდგომილს მაცხოვარს და მხსნელს? როგორ მოგეწონათ, როცა ვიღაც ახლად მოვლენილმა მეცნიერმა კაკაბაძემ დიდებული შოთას პიროვნება, მისი გენიოსობა იუვის ბურუსში გახვია? როგორ მოგეწონებათ ილიას მოწამებრივი სახის შებღალვა, როცა გაჩირაღდნებულ თეატრში ლიტერატურულ სალამოს მართავთ მისი ხსოვნის აღსანიშნავად და მისი აზრების ხალხში ფართოთ მოსაფენათ? და განა შესაძლებელია შედარების ხაზი გავატაროთ ქრისტესა და აღნიშნულ ჩვენ მასახელებელ ლიტერატორთა შორის? რათ ასეთ ანგარიშს არ უწევთ, ბატონებო, სხვის გულის ღმერთს? თუ თქვენ არაფერი გწამთ, ეს კიდევ ნებას არ გაძლევსთ სხვისი სარწმუნოება, სხვისი წმიდათა წმიდა შეგინოთ, შებღალოთ.

ჩვენ, რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არა ვართ სერიოზული კრიტიკისა სარწმუნოების საქმეში, ჭეშმარიტების არ ეშინია არავითარი მკაცრი კრიტიკისა. ჩვენ მოხარულიცა ვართ, როცა ათას ში ერთხელ შემთხვევა მოგვეცემა სარწმუნოებრივ საკითხებზე გავმართოთ ბაასი მკითხველ საზოგადოებასთან, მაგრამ არა გუცასთანა კუდაბზიკა მჭირდავ ობერ-პოეტებთან, რომლებსაც ყოველი სიწმიდის შეგინება ტ კბილების ლრჭენა კრიტიკა ჰგონია და თავის განათლება ჰაერში მოარული აზრებით დაუმთავრებია, არამედ სერიოზული და სინდისიერ მეძიებლებთან, რომლებსაც, საუბედუროთ ვერ ვხედავთ, არა თუ კოლხიდის თანამშრომელთა შორის, არამედ, მცირედის გამოკლებით, მთელ ქუთათურ და სრულიად საქართველოს ინტელიგენტთა შორის, რომლების საღვთისმეტყველო განათლება არ გასცილებია რუდაკოვის „ზაკონ ბოჟს“ და ფილარეტის „კატეხიზისს“, და სწორეთ ამითი აიხსნება გუცასთანა ობერ პოეტების გამოსვლა გაზეთის ფურცლებზე საღვთისმეტყველო პოეზიით.

და ნუ თუ ჰგონია ,,კოლხიდის'' რედაქციას, რომ ასეთი გუცასთანა თანამშრომლებით მოიპოვებს სახელს და ფართოდ მოჰფენს ხალხში თავის გამოცემას, იმ ხალხში, რომელმაც ჯვარცმით და წამებით დაუმტკიცა მაცხოვარს თავის ერთგულება?...

ხელი.

გ ა მ ც ე მ ი*).

„იუდა! შენ გამცემ მე.“

უთხრა იესომ ტკბილის ჩურჩულით, და ისე მახვილათ გაურჭო თვალებში თვალი, რომ იუდას ბოროტი სული სულ ძირიანათ შეირყა.

საერთო სიჩუმე ჩამოვარდა ქრისტეს მოწაფეებში, რომელნიც განუსაზღვრელი ლმობიერებით უცქერდენ სამსხვერპლოდ გამზადებულ ზვარაკს და თვალს ადევნებდენ იუდას სულის კვეთებას.

ვის არ შეაჯადოებდა ქრისტეს სიტყვების მომხიბლავი მუსიკა!

თვით უძლიერეს მტარვალთაც გულის სიღრმეში სწვდებოდა იგი და სიყვარულათ უცქერიდათ შურის-ძიებას. მან არ შემუსრა რომაელთა უძლეველი ლეგიონები?! მან არ დალეწა რომაელთა საპყრობილენი და ურიცხვ ბედკრულთ მიანიჭა თავისუფლება?!

მაგრამ არ შედრკა იუდა.

ვერცხლისადმი ანგარებამ დაუჩლუნგა მას გულის სმენა და გასაცემათ მტერთან წავიდა.

---

*) გვიან მიღების გამო დაგვიგვიანდა საღდგომო №-ში გაშვება.

გოლგოთას მთაზე ჯვრით დატვირთული მიდის იესო. პირისახეზე ქრისტეს წურწურით ჩამოსდის სისხლის ოფლი და ქვიშას ალლობს მისი სისველე.

იუდა უცქერს.

და როცა წამების ჯვარზე ჩქეფა დაიწყო უმანკო სისხლმა... შედრკა იუდა, შესძრწუნდა, ათრთოლდა.გული, მოლუშული და დამზრალი გაელღო. იქვმა შეიპყრო ლითონისადმი. თვალწინ წარმოუდგა არარაობა ვერცხლისა, როსელმაც საშინელი ბოროტება ჩაადენია.

გამცემი...

შემაძრწუნებელი თრთოლვით წარმოსთქვა მან და შიშის ზარმა ააკანკალა. მხოლოდ ახლა იგრძნო, რომ საუკუნოების განმავლობაში შთამომავლობა წყევლა-კრულვას უძღვნიდა მუდამ, და, წარუხოცელი ზიზღით შესერილი, იუდას სახელი გამცემთა მაფრთხობელათ დარჩებოდა ერთა შორის. და შეიგნო, რომ გამცემი ვერასოდეს ვერ მოისვენებს.

ვერცხლი?!.

სად გაქრა ლითონო ძალა შენი?

ნუ თუ მართალია!?

იუდამ თვისი საუნჯე შორს გადისროლა, მიმოაბნია, ფეხი დაჭერა და მსწრაფულ მიიჭრა გოლგოთას, ქრისტეს წინაშე, რათა შეენანებია დანაშაული... მაგრამ...

ვეღარ მიუსწრო.

ქრისტე, ქვეყნის საუნჯე, უმრეტი წყარო სიყვარულის, სათნოების და ჭეშმარიტების, უკვე აღსრულდა.

—:—

საღამოს ჟამი იყო. გოლგოთას მთაზე წყვდიადის შავი ზეწარი ფარავდა ჯვარცმულს. საშინელი დანაშაულის წინაშე შიშით შეპყრობილი მიდამო ძრწოდა. სიმართლისთვის წამებული იესო ჯვარზე ეკიდა. ბაგეზე ტანჯვით შეკაშმული უკანასკნელი ღიმი უკრთოდა და გოლგოთას წვერვალიდან სიბრალულით გასცქეროდა უმადური ურიასტანის ბედკრულთ, დაობლებულთ.

იუდამ იხილა ტაძარი მისი ბოროტი ხელით ნგრეული, თვალი შეავლო ძვირფასი სასძელის ბარძიმს, რომელიც მწიკვლიანი ხელით განგმირა და მის ცქერას ვეღარ გაუძლო...

სწრაფათ დაეშვა გოლგოთას მთის ხრიოკებზე, ულრანს ხევში შეიჭრა და სულის ქენჯნით მოკანკულმა აღსასრული ლელვის რტოზე იხილა.

დ. ჩხიკვაძე.

მოწერილი ამბები.

დ. ლანჩხუთი.

გასულ კვირას ლანჩხუთის სამრევლო ორკლასიან საქალაბო სკოლას ეწვიაგ ურია-სამეგრელოს ეპარქიის სკოლების მეთვალყურე ბ-ნი სინსკი, რომელმაც გამოსადა მოწაფე ქალები ყველა საგნების ოდნაში. სამღვთო სჯულში ბ. სინსკიმ მოსთხოვა ბავშებს რუსულად ოდნა ლოცვების და სამღვთო ისტორიების უნცროს მე-2 და მესამე განყოფილებებში, ხოლო პირველ განყოფილებაში ზოგიერთ კითხვებზე რუსულად პასუხის მიგება. როცა სკოლის გამგე მღვდელმა აუხსნა მეთვალყურეს, რომ პირველ სამ განყოფილებაში სამღვთო სჯულს ქართულად ასწავლიან და უფროს განყოფილებაში კი რუსულადო ბ. სინსკიმ განაცხადა, რომ სამღვთო სჯულის სწავლება ქართულთან ერთად რუსულადაც უნდა სწარმოებდეს პირველსავე განყოფილებაში, ხოლო მეორეში და მესამეში რუსულად უნდა იკოდენ მოწაფეებმა ლოცვები და ისტორიები. გამგემ მოსთხოვა მას წერილობითი განკარგულება ამის შესახებ, მან კი მიუთითა ვოსტოსგოვის დროს დამტკიცებული სამრევლო სკოლებისთვის სამოსწავლო პლანზე. ამ პლანმა, როგორც ვიცით, თავის დროზე აურზაური გამოიწვია ჩვენ სამღვდელოებაში და საზოგადოებაში და მას შემდეგ ის არ განუხორციელებიათ, რადგანაც უკეღმართად არის შედგენილი, და ქართულ ენასაც ძლიერ ოტა ადგილი აქვს დათმობილი. როგორც ამბობენ, ბ. სინსკი ამ პროგრამით თხოულობს სწავლებას და ზოგ სკოლებში კარგათაც ასრულებენო. ამ ნაირად სამრევლო სკოლებში შეაქვთ ერთხელ უარყოფილი პროგრამა, რომელიც ბევრათ უარესია. სამინისტრო სკოლების პროგრამაზე. დასაფარავი არ არის, რომ ჩვენს სკოლებს უნდობლად ეპყრობა ხალხი და ეხლა კი ხსენებული პროგრამის შემდეგ სულ მალად აიკრუებს მაზე გულს. ჩვენ ვიცით როგორ უპასუხა დირექციას სახლგადოებამ, როცა იმან მოინდომა პროგრამის შეცვლა. ბარშან ცნობილმა ინსპექტორმა გასპარიანცმა სამინისტრო სკოლებში გურიაში სწორეთ ისე მოითხოვა საშღვეთო სჯულის სწავლება, როგორც სინსკი თხოულობს და სიმართლე უნდა სთქვას კაცმა, რომ თვით მასწავლებლები აღშფოთდენ და აუხსნეს მას ასეთი მოთხოვნის

შეუსაბამობა. ჩვენ სკოლების შესახებ ამოიღებს ვინმე ხმას თუ არა, არ ვიცი; პირველად სამღვდელოებამ უნდა აღიმაღლოს ხმა მისდამი რწმუნებული სკოლების დამახინჯების წინააღმდეგ და შემდეგ იმედია, იმას მიყვებიან ყველა ისინი, ვინც დაინტერესებულია ამ ტიპის სკოლების წარმატებით. ვნახოთ რა იქნება?

ხოტეველი.

წერილი რედაქციის მიმართ.

მამაო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ წერილს ადგილი მისცეთ თქვენ პატივცემულ გაზეთის მახლობელს ნომერში.

ამა წლის თებერვლის პირველ რიცხვებში თეკლათის (სენაკის მაზრა) დედათა მონასტერს ეწვია უბედურება: მოულოდნელმა ცეცხლმა ნაცრად აქცია ოცდა ორი ბინა (სენაკი) უმისოდაც უსახსრო მონაზონთა. რამდენიმე ათეული მანაზონთა დარჩა ყოველ სარჩოსაბადებელს მოკლებული. უმწეოდ დარჩენილ გაჭირვებულ მონაზონთა დასახმარებლად ყოველად სამღვდელო ლეონიდემ გამოიჩინა თავისი ჩვეულებრივი მოწყალე თანაგრძნობა. ბრძანა დაარსებულიყო ქალაქ ფოთში კომიტეტი შეწირულებათა მოსაკრებად.

თვისდა სასახელოდ კომიტეტმა პირნათლად აასრულა სათაყვანო მწყემსმთავრის მონდობილება და სულ ერთი თვის განმავლობაში (14 მარტიდან) მოაგროვა სამას მანეთზე ცოტა მეტი და აწიც მოელის გაჭირებულთა შემწყნარე და გულკეთილ ადამიანებისაგან შემოწირულებას ეპარქიის სამღვდელოებისაგან, რომელსაც მიმართა საყვარელმა მწყემსმთავარმა მოწოდებით.

სია შემომწირველთა:

უცნობი პირისაგან 25 მანეთი. კომიტეტის წევრებისგან: ვლადიმერ მარჯანოვისაგან 10 მანეთი. ხუთ-ხუთი მანეთი-ქ-ბატონებმა: ედ. სალაყაიასა და სოფ. საბახტარიშვილისა, დეკანოზი კლ. ჩანტურაიასგან და ვლ. გაგუასგან: სამ სამი მანეთი-ქ-ბატონებმა: ეკ. ხოშტარიასა და ნატ. ლოლუამ, მამა ვარ. მახარაძემ ორი მანეთი.-ქ-ბატონი მატო ხოფერიასამ.

გარეშე პირთაგან: ხუთ-ხუთი მანეთი: გიორგი მარგალიტაძე, გიგო დიდია, ქ-ბატონი ნინო მეუნარგიასა, ბატ. კაუდფუსი, მიხა გვალია და თადეოზ კეშელავამ; სამ-სამი მანეთი: გ. კეფალიდი, მამა ი. ბობოხიძე, ბ. ბ. ვ. თოფურიძე, იზბაში, კ. მიქაბერიძე, ბეჭე გაბელია, ანდრი ევანია, აგვეზილაი აგვერინომ დამოკნის მმართველი ბ. ბუდხინსკი, მამა მელ. კელენჯერაძე და ანდრი ქავთარაძემ და ბ. მეორმა: ორ-ორი მანეთი: ვლ. ხოშტარია, ანდრი ლოლუა, კოხთა რუხაძე, მიხ. კაგაროვი, მეგერლიჩ სურეპოვი, ანნა გაგუა, ალ. ზგორსკი ფოთის კერძო პროფესიონალურ შკოლაში მოსწავლე ქალებისაგან (ორი მანეთი და თორმეტი კაპეიკი), ა. აპრელოვი, პარტ. საძანჯი, ბეკ. საბახტარიშვილი, ლეონ. ლიუდინი; ნინო პარეაია, ნინო გიგავა, ქსენია ოსიძე და ლარიძემ. მანეთ ნახევარი: ან. დაროვისა და იაკობ შუნტერმა; თითო მანეთი: ბათუურიდია, პოროჩიკი სამოიკო, №, №, მაქსიმე პაატკორია, ვარ. ჭოჭუა, გ. ნიკოლაიშვილი, ალ. ქოიავა, სამ. ყვინიხიძე, პ. აპოზოვი, მორდეს მამისთვალოვი, გრ. გრიგოლოვი, კ. ზამაისკი, პეტ. მატახერია, ვალ. აბუევი თ. კორაიჩეკო ძმები ალ. და ლ. ღლონტები, მიხ. ფარულავა, ნიკო ღლონტი, გ. სარპოლაი, ანდ. შამუგია, ბეგლ. მამალაძე, ალი დაფაზან-ოღლი, ნ. ბახარაძე, ე. ასლანიანი, ლუკა გერსამია, თეოფანე კინწურაშვილი კოსთა ქვარცხავა, მაქ. ხორავა, აქვს. ყვანია, ვ. დეიმანი, ეეგ. გაბელია, იოს. ოდიშარია, შარკან ცხადაია, და ფარნა მილორავა (ამხანაგობა), ივან ალხაზოვი, ივ. ბოლქვაძე, ქ-ბატონი ს. ნაკაშიძისა. არს. ლომინაძე, აფრ. ეღენტი, აქვს. ჩიქობავა, ფ. კაპარავა, ტრიფ. გადელია (1 მან. 5 კაპ.). ეგნატე ქაქეტია, ი. ქადეიშვილი, ვას. ესებუა, პლ. ჟორდანია, ელიზ. თოფურიძე, მიხა ესაკია, ლუკა თვალაძე, მანფონოვსკი, დომ. კუპაიძე, მიხ. გროდსკი, სამსონ დოლიძე, პავონი, ერმალო ბოლქვაძე, ზ. ფარულავა, სამსონ ბყონია, ქ-ბატონი ლიზა საბახტარიშვილასა, ეკ. სახაროვისა, ივანე (ბანძლი) ნოდია, მამა გიორგი გვაზავა, აკაკი და ალექსი თოფურიძეები, კ. ბოროჩევსკი, ბაბილინა უნგიაძისა, გიორგი ღოლობერიძე, მამა ბეგლარ კაპარავა, მელქ. კალანდარიშვილმა, ბესარიონ ჩიჩუა, ვარდენი, სანდრო გუგუშვილი. როდ. ხოშტარია, სოლ. ოსიძე, №, №, კ. მურზა, ზივერტი, პეტ. ქუთათელაძე, თეოდ. გველესიანი, აკ. თალაკვაძე, ბ. ბეგთაბეგოვმა, ცხრამეტი შაური და ლ. ჩხარტიშვილმა თეგმეტი შაური, ათ-ათი შაური: არჩილ ფულარია, �dia, ვერა ნამიჩეიშვილი, აიბინდერი. ბურშტეინი, სტ. გოგინავანა, სოკრ. ოკუნჭავა, ნიკო ყვანია.

კომიტეტის თავმჯდომარე დეკ. ვლ. ჭანტურაია
ხაზინადარი მღვდელი ვარლამ მახარაძე.
მდივანი ვლ. გაგუა.

P. S. ვთხოვ უმორჩილესად „სახალხო გაზეთს" და „კოლხიდის" რედაქციებს ეს წერილი გადაბეჭდონ.

გამგეობა კომიტეტისა.

შემდეგი იქნება.

რედაქტორი მღვდელი **სიმონ მჯედლიძე.**
გამომცემელი **იოსეგ ლეუავა.**

სტამბა „ძმობა" კაზაკოვის ქუჩა სახლი № 17.